საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 02

ქ. ბათუმი 09 იანვარი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებით გამოცხადებული აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის’’, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა ქორიძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 0 17 00009446, 09.01.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბსუ-ში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად **2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებით** გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **კახაბერ ქაშიბაძე** - ბსუ-ს პროფესორი;

ბ) **სოფიო ბერიძე** - ბსუ-ს პროფესორი;

გ) **რენე თანდილავა** - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2017 წლის 12 იანვრიდან 16 იანვრის ჩათვლით.

3. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის №3 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე კლინიკური

მედიცინის დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებით, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსში ასისტენტ პროფესორის ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 დეკემბრის №115 დადგენილებითა და წინამდებარე დადგენილებით.

4. დადგენილება დაეგზავნოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**